საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-10/77

ქ. ბათუმი 21 ივნისი, 2023 წელი

,,ბსუ-ს სარგებლობაში არსებული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შენობებში (კორპუსებში), ავტომატური სავაჭრო აპარატების დასადგმელად, ფართის იჯარით სარგებლობისათვის ქირისა და პირობებიანი ელექტრონული აუქციონის პირობების განსაზღვრის შესახებ" ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 20 ივნისის №01-10/74 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის, ,,სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში მყოფი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შენობებში (კორპუსებში), ავტომატური სავაჭრო აპარატების დასადგმელად ფართის იჯარის ფორმით გაცემაზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 27 აპრილის №07-01/20 გადაწყვეტილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 13 ივნისის №685490 და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 03 მაისის №13/24541 თანხმობის წერილების და საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 21 ივნისის №734765 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილებები ,,ბსუ-ს სარგებლობაში არსებული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შენობებში (კორპუსებში), ავტომატური სავაჭრო აპარატების დასადგმელად, ფართის იჯარით სარგებლობისათვის ქირისა და პირობებიანი ელექტრონული აუქციონის პირობების განსაზღვრის შესახებ" ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 20 ივნისის №01-10/74 ბრძანებაში, კერძოდ, ბრძანების პირველი-მე-4 პუნქტები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. გაიცეს იჯარით, **ორი წლის ვადით,** საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართები **ხსნადი ყავის და ავტომატური სავაჭრო**

აპარატების დასადგმელად, პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით შემდეგ მისამართებზე:

ა) **ბსუ-ს №1 კორპუსის მე-2 სართულის დერეფანში** (მდებარე ქ. ბათუმში, რუსთაველი/ნინოშვილის ქ. №32/35, ს.კ. №05.23.03.004, მესაკუთრე სახელმწიფო), **3 კვ.მ. ფართი** - ერთი ხსნადი ყავის და ერთი ავტომატური სავაჭრო აპარატის დასადგმელად;

ბ) **ბსუ-ს №1 კორპუსის მე-3 სართულზე** ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკაში (მდებარე ქ. ბათუმში, რუსთაველი/ნინოშვილის ქ. №32/35, ს.კ. №05.23.03.004, მესაკუთრე სახელმწიფო), **3 კვ.მ. ფართი** - ერთი ხსნადი ყავის და ერთი ავტომატური სავაჭრო აპარატის დასადგმელად;

გ) **ბსუ-ს №2 კორპუსის მე-2 სართულის დერეფანში** (მდებარე ქ. ბათუმში, რუსთაველი/ნინოშვილის ქ. №32/35, ს.კ. №05.23.03.004, მესაკუთრე სახელმწიფო), **3 კვ.მ. ფართი** - ერთი ხსნადი ყავის და ერთი ავტომატური სავაჭრო აპარატის დასადგმელად;

დ) **ბსუ-ს №2 კორპუსის მე-4 სართულის დერეფნებში** (მდებარე ქ. ბათუმში, რუსთაველი/ნინოშვილის ქ. №32/35, ს.კ. №05.23.03.004, მესაკუთრე სახელმწიფო), **3 კვ.მ. ფართი** - ერთი ხსნადი ყავის და ერთი ავტომატური სავაჭრო აპარატის დასადგმელად."

2. საწყისი წლიური საიჯარო ქირა დღგ-ის და კომუნალური გადასახადების ჩათვლით განისაზღვროს **7200 (შვიდიათას ორასი) ლარის ოდენობით.**

3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ბე განისაზღვროს 720 (შვიდასოცი) ლარის ოდენობით, ხოლო ბიჯი - 120 (ას ოცი) ლარის ოდენობით.

4. იჯარით სარგებლობაში გაცემის **ელექტრონული აუქციონის პირობად განისაზღვროს:**

ა) იჯარით აღებულ ფართში (სულ 12 კვ.მ) წყვილ–წყვილად (1 ყავის და 1 სავაჭრო 3 კვ.მ–ზე) უნდა განლაგდეს ავტომატური აპარატები (სულ 8 ცალი), საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2023 წლის 01 სექტემბრისა. იჯარის თანხა მოიცავს დღგ-ს, ელექტროენერგიისა და სხვა კომუნალურ გადასახადებს;

ბ) მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს ეკოლოგიური, სანიტარულ–ჰიგიენური და ხანძარსაწინააღმდეგო პირობების/ნორმების დაცვა;

გ) საიჯარო ქირის გადახდა იწარმოებს ყოველთვიურად, თანაბარწილად, არაუგვიანეს მომდევნო თვის 10 რიცხვისა;

დ) მოიჯარეს შეტანილი ბე ჩაეთვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის ოდენობაში საბოლოო ანგარიშსწორებისას;

ე) მოიჯარე ვალდებულია დაფაროს ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული ხარჯები;

ვ) იჯარით სარგებლობაში გაცემის **ვადა - 2 წელი;**

ზ) მეიჯარე უფლებამოსილია ყოველგვარი კომპენსაციებისა და ჯარიმის გარეშე ვადამდე გააუქმოს (ვადაზე ადრე შეწყვიტოს) საიჯარო ხელშეკრულება:

- უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების (არანაკლებ 2 ფაკულტეტის საბჭო, 2 ბსუ-ს სხვა სტრუქტურული ერთეული და სტუდენტური თვითმართველობა) მოტივირებული მოთხოვნის შემთხვევაში, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე;
- სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში;

- საიჯარო ქირის 2 თვის დავალიანების შემთხვევაში.

თ) აუქციონში რეგისტრირებულ პირებს, რომლებმაც მონაწილეობა არ მიიღეს სააუქციონო ვაჭრობაში ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია დაუბრუნდებათ აუქციონის დასრულებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში.".

2. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის აპარატს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მერაბ დიასამიძე